ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** სამშაბათი, 18 სექტემბერი № 1585

გაზეთის დირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, **№ 27** და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372,**

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

კ ი ო ს კ შ ი

იყიდება ყველა ქართული გამოცემანი. ლორის მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, საკუთარ შენობაში. (20—2)

ხუთშაბათს, 20 სექტე ქართული თეატრი **მბერს 1901 წელს**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

დაქცეული ოჯახი

კომედია 3 მოქ., თხზ. სუნდუკიანცისა.

II

რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსა

ვოდ. 1 მოქმედებად, თარგ. აწყურელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, მდივანი, გარელი, აფხაზიშვილი, კავთელი, ჩიქოვანი და გივიშვილისა; ბ.ბ. აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანიშვილი, იმერიძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. **ფასები ჩვეულებრივია.**

მზადდება პიესა **„ირინეს ბედნიერება“**.—წარმოდგენილი იქმნება კვირას, 23 სექტემბერს.

რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი 791.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. მ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ე. გ. ფიოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ვ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10 12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით, ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ტელეფონი № 274. (წლ.)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. «მანჩესტერ გვარდიან»-ის ლონდონელი კორესპონდენტი სწერს: უნიონისტების წრეებში კიდევ ლაპარაკობენ, ვითომ ლორდ სოლსბერი პირველ მინისტრის თანამდებობიდან გადადგებაო. კორესპონდენტი სწერს:

«ლორდ სოლსბერის გარდა სხვა მინისტრებიც გადადგებიან, ეს კია, რომ არ იციან როდის გამოიცვლებიან მინისტრები. მეფეს სურს, ჯერ სოლსბერი გავიდეს სამსახურიდან და მერე სხვა მინისტრები გავიდნენო. ამბობენ, ფინანსითა მინისტრს ჰიქს ბიჩს სწადიან ეხლავე პარლამენტის შეკრებამდე გადადგეს სამსახურიდანაო, ჰიქს ბიჩს გარდა, ერთი სხვა გავლენიანი მინისტრიც დაანებებს თავს სამსახურსაო. ამბობენ, ერთ ახალგაზრდა მინისტრსაც მობეზრდა თავისი თანამდებობა და ამიტომ ისიც სამსამურიდან გავაო.

✿ გაზეთები იუწყებიან: უნიონისტები ბევრს ლაპარაკობენ იმის თაობაზე, რომ ირლანდიის დეპუტატების რიცხვი შემცირდესო. ვიდრე პარლამენტი შეიკრიბება, ამ შემოდგომაზე უნიონისტები ამ საგნის თაობაზე ბევრგან ჩამოაგდებენ ლაპარაკს. ახალგაზრდა კონსერვატორ-დეპუტატებს ხომ ამის მეტი სხვა აღარა აგონდებათ-რა. სამინისტროს, ჯერ-ჯერობით მაინც გადაწყვეტით არ აღუთქვამს ამ განზრახვის შესრულება.

✿ ქალ. კრიმსბიში მუშებს აღარ მოუხდენიათ არეულობა, მით მაინც ახლო-მახლო ადგილებიდან ქალაქში პოლიცია და ჯარი დაიბარეს. მუშების მეთაურები ამტკიცებენ: ჩვენ არაფერ შუაში ვართ, არაფერი კავშირი არა გვაქვს უწესოების მომხდენებთანაო. უწესოება ჯიბგირებმა და ვიღაც საეჭვო კაცებმა, მომეტებულ ნაწილად სხვაგნიდან მოსულმა ხალხმა მოახდინაო. მეთაურებმა ურჩიეს ტრედ-უნიონის წევრებს: ახლოც ნუ გაივლით ხავთ სადგურთან, სადაც უწესოება მოხდაო, თორემ ყველაფერს ჩვენ დაგვაბრალებენო, და მუშები ამ დარიგების და გვარად იქცევიან.

საფრანგეთი. დიდი ხანია ლაპარაკობენ, სამინისტროში ცვლილება მოხდებაო და აი ეხლაც «ჟურნალ დედება» იუწყება: ვაჭრობის მინისტრმა მილიერანმა, საზოგადო შენობათა—ბოდენმა და სამხედრო—ანდრემ ვალდეკ-რუსსოს გამოუცხადეს სამსახურს თავს ვანებებთო. ანდრე ძლივ-ძლივობით დაიყოლია რუსსომ და ისევ სამსახურში დარჩება, დანარჩენმა ორმა მინისტრმა კი გადაჭრით გამოაცხადა სამსახურიდან გავდივართო.

«ჰავასის სააგენტო» უარ-ჰყოფს ამ ცნობას. გაზეთები მაინც ამტკიცებენ, რომ სამინისტროში პარლამენტის შეკრებამდე ცვლილება მოხდებაო, თუმცა, შესაძლებელია, რომ სულ სხვა მინისტრები გამოიცვალნენ და არა ისინი, ვისაც «ჟუნალ დე დება» ასახელებსო.

✿ ამ დღეებში ქალ. რუბეში გედის მომხრე მუშებმა კრება მოახდინეს. კრებამ დაადგინა: უნდა ვეცადნეთ, რომ მთავრობის კანონ-პროექტი მუშების პენსიის შესახებ არ დამტკიცდეს, რადგანაც ამ კანონ-პროექტის ძალით თითონ მუშებმა ფული უნდა შეიტანონ პენსიის ფონდის შესადგენადაო.

ავსტრ-უნგრეთი. კრაკოვის გაზეთები იუწყებიან: გალიციის სეიმში წევრები აარჩიეს. პოლონელ კონსერვატორებს 7 ახალი დეპუტატი მოემატათ. რუსინებს ორი დეპუტატის ადგილი დააკლდათ, საერო დასს—4 და გლეხ-კაცების დასს—2. სეიმში სულ 161 დეპუტატია. ამათგან 106 პოლონელ კონსერვატორების თავად-აზნაურობის წარმომადგენელია, ასე რომ დეპუტატთა დიდი უმეტესობა, ორ მესამედზე მეტი კონსერვატორების დასს ეკუთვნის. ამ რიგად არჩევანში პოლონელმა კონსერვატორებმა გაიმარჯვეს.

✿ ამ მოკლე ხანში ჩეხიის ლანდტაგის წევრთა არჩევანიც უნდა მოხდეს. სოციალისტების კანდიდატები 65 ოლქში იყრიან კენჭსა.

შეერთებული შტატები. რესპუბლიკელთა დასის ერთ-ერთ მეთაურს სენატორს ალდისონს უთქვამს: კონგრესი საფუძვლიანად შეისწავლის ანარქისტების საქმეს და უეჭველ-ნაირად ეცდება, ისეთი კანონი გამოსცეს, რომ ანარ-

ფელეტონი

რამე-რუმე მთისა

დიფტერიტი და უექიმობა.—საქონლისთვის ხუთი ბეითალი და ადამიანისათვის მხოლოდ ერთი მკურნალი.—უგზოობა და ტფილისის გუბერნატორის შარშანდელი მთაში მოგზაურობას დროს პირობა, ხალხისთვის მიცემული.—ფშავ-ხევსურეთზე რკინის გზის პროექტის გამო.—საშუალება ქისტებისა და სხვა მაჰმადიან მთიულთა შორის ავკაცობის და ფანატიკოსობის შემამცირებელი.

თიანეთის მაზრა, თუ მცხოვრებთა რაოდენობით არა, ადგილით მაინც აღემატება, ვგონებ, სხვა მაზრებს ტფილისის გუბერნიისას. მისს რაიონს შეადგენენ: ერწო-თიანეთი და სხვა ივრის პირას მდებარე სოფლები, ახმეტა და მატანი; მთისა და ბარის თუშეთი; პანკისის ხეობა და ალაზნის სათავეები, მთელი ილტოს ხეობა, ფშავ-ხევსურეთი და მითხო. უკანასკნელი თემი დასახლებულია ქისტებით, რომლებიც სჯულით ეკუთვნიან სუნნიტ მაჰმადიანებს; ჯვით თემი მდებარეობს ხევსურეთის გვერდით, იმიერ კავკასიაში. აი ამოდენა ქვეყანას სულ ერთი მკურნალი ჰყავს სამაზრო ხალხისთვის, ხოლო ცხენის და ცხვარძროხისთვის—ხუთი ბეითალი. ამის წყალობით შეიძლება წარმოიდგინოთ ის უბედურება, რაც შარშან და მიმდინარე წელს ფშაველებმა და ხევსურებმა გამოიარეს სხვადასხვა ავადმყოფობისაგან. ჯერ იყო „ინფლუენცია“; რაც იმან დააკლო, ხუნაგმა და ყელ-ჭირვებამ დაუმთავრეს. მთაში ეს უკანასკნელი სტკივარი არ ყოფილა, მხოლოდ საბაროში იყო მოდებული. მიბრძანეთ, რა უნდა გაეწყო ერთს ექიმს, რომელ ერთგან წასულიყო, რომელ ერთს მიჰშველებოდა, რაც უნდა მოყვარულიც ყოფილიყო თავის თანამდებობისა და გულშემატკივარი მოყვასისა? მართალია, მეშველად ტფილისიდანაც იყო წელს ხევსურეთს საგუბერნიო მკურნალის თანაშემწე ხუნაგთან (დიფტერიტთან) საბრძოლველად გამოგზავნილი, მაგრამ არაფერი გამოვიდა, მაინც მკურნალების ასე საჩქაროდ წასვლა-მოსვლით არც ჰშველებია ხალხს რამე, არც ეშველება. ხუნაგი ხევსურეთში დღესაც ისევ ისე მძვინვარებს და პატრონი კი არავინა სჩანს.

„საჩქაროდ“ წასვლა-მოსვლითაო, ვსთქვი, მაგრამ მართალი კია ესა? ბატონო, ავად რომ ვინმე შემექმნეს, ახმეტაში უნდა გავგზავნო კაცი, რადგან სამაზრო დოქტორი იქა სცხოვრობს. იქნებ მეოთხე, მეხუთე დღეს მოვიდეს ექიმი, თუ შინ დაუხვდა, ან გამოჰყვა. ეს მე. ეხლა უკანა-ფშავში, შატილში, ან მითხოში რომ დასჭირდეთ მკურნალი, ხომ ათი დღეც მოუნდებათ ლოდინი. დიფტერიტი კი ხუთი-ექვსს დღეში უკვე აქრობს ავადმყოფს. ზამთრის დროს კიდევ თოვლის და ზვავების მიზეზით მიმოსვლა შეკრულია და მაშასადამე, მკურნალის შემწეობაც არსაით არ იქმნება. ამიტომ აუცილებლად საჭიროა თიანეთის მაზრას სამი მკურნალი მაინც ჰყავდეს დანიშნული. მაშინ ერთი ერწო-თიანეთს და სხვა იორზე მდებარე სოფლებს მოუვლის, სხვა ახმეტა მატანს, თუშეთს, პანკისის და ილტოს სოფლებს და მესამე ფშავ-ხევსურეთს. საავადმყოფო ქსენონიც სამი დასჭირდება. ერთი უკვე არსებობს ახმეტაში; ერთიც გაიხსნება თიანეთში და ერთიც არაგვის ხეობაზე ფშავ-ხევსურეთში. თორემ თუ ადამიანები გასწყდებიან, მაშინ ან ოთხ-ფეხი ვის რა ჯანდაბად უნდა? ამ ოთხ-ფეხისთვის თუ ხუთი ბეითალი ჰყავს თიანეთის მაზრას მიჩენილი, ადამიანებმა რაღა დააშავეს? სამი დოქტორი რაღა ბევრია იმათთვის? თუ სამუდამოდ ვერ გაამრავლებენ მკურნალების რაოდენობას, გადამდებ ავადობათა გაჩენის დროს მაინც უნდა მოუმატონ ხოლმე იმათ რიცხვს, რომ ექიმებმა მაშინ სრულ ხალხში იცხოვრონ და ხელად მიეშველონ სნეულებს, თორემ ხუნაგი და სხვა მისთანა ჭირვეულობა რა ერთი სადმე გაჩნდება, საძნელო გახდება მათი მოსპობა.

* *

ახლა გზები, ბატონებო, მაგრამ რა გზები? სად არის „გზა“ არაგვის ხეობაზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საცალფეხო ბილიკს, თვალივიდან დაწყებულს, მთისკენ მიმდინარეს? „საცალფეხო“-ს იმიტომ ვეძახი, რომ მაზე არ შეუძლიან გავლა არაფითარ ეტლს, მარხილია, ურემი თუ სხვა რამე. მაზე იარება მხოლოდ ქვეითი და ცხენოსანი და ისინიც ცოდვა-ჭირით. მიდის ხოლმე კაცი ამ ბილიკზე, ებღაუჭებაუკმაკება ამ ოღრო-ჩოღროებზე, ამ ბეწვის ხიდებზე და ჰფიქრობს: «ძნელი არ არის ამ ხეობაზე საურმე გზის გაყვანა, ნუ თუ ფიქრად არავის მოსდის მისი გაკეთებაო?“ მგზავრი ხომ ჰფიქრობს და ხალხმაც დიდი ხანია შეიგნო «დიდი გზის» საჭიროება, მაგრამ კი ვერ შესდგომია, ვერ შეუხედნია შეუძლობის გამო. თორემ შარშან გ. ტფილისის გუბერნატორსაც გამოუცხადეს ფშავ-ხევსურთ თავისი სურვილი, მის აქ მობრძანების დროს, და ერთპირად სთხო-

ქისტებმა თვიანთ მოძღვრების გავრცელება ვეღარ შეიძლონ. ორივე პალატის წარმომადგენელთაგან კომისია დაინიშნება. კომისიას შეერთებული შტატების გამოჩენილი ადვოკატები გაუწევენ დახმარებას და ყველანი ერთად ისეთ კანონს შეადგენენ ანარქისტების წინააღმდეგ, რომ მავნე მოძღვრების ქადაგებასაც აღკრძალავს და ამავე დროს ამერიკელი მოქალაქის თავისუფლებასაც არ შეზღუდავს.

✡ გაზ. «ტანა»-ი იუწყება: ჩოლგოსის რევოლვერში დარჩენილი ტყვია ქიმიურად გამოიკვლიეს და აღმოჩინეს, რომ ტყვია ნამდვილად მოშხამული ყოფილა.

✡ განსვენებულ პრეზიდენტს, სხვათა შორის, ერთი მეგობარი ჰყავდა, ეს გახლავთ სენატორი ჰანნა. ეს სენატორი ყველა ტრესტის და სინდიკატის მოსარჩლეა და სწორედ თავდადებით ემსახურება მორგანსა, როკფელერსა და სხვა მილიონერებს.

რასაკვირველია, თითონაც ხეირი აქვს ამ ვაჭბატონებისაგან. როგორც გაზეთები იუწყებიან, ჰანნა მაკ-კინლეისაც ურჩევდა: სანამ დრო გაქვს, ისარგებლე, შეძლება შეიძინეო, მაგრამ პრეზიდენტი ყურს არ უგდებდა თავის მეგობარს: შეერთებული შტატების პრეზიდენტი სპეკულაციებში არ უნდა ერეოდესო. მაკ-კინლეი უფრო პრინციპიალურად ემხრობოდა ტრესტებს. ამერიკის მრეწველობის განვითარება, აყვავება ეწადა და არა თავისი ჯიბის გასქელება. მაინც ამერიკელ დემოკრატებს ისიც კი სწყინდათ, რომ პრეზიდენტი იმისთანა პირებს უახლოვდებოდა, როგორიც სენატორი ჰანნაა. როცა მაკ-კინლეის წყენა ეწადათ, დემოკრატიული გაზეთები «სენატორ ჰანნას მეგობრის» სახელით იხსენიებდნენ ხოლმე პრეზიდენტს.

მაკ-კინლეის დასაფლავებას, რასაკვირველია, ჰანნაც დასწრებია. გაზ. «პოსტ»-ი სწერს: როცა სენატორი ჰანნა სასაფლაოდან ბრუნდებოდა, ვიღაცამ ორი დიდი ქვა ესროლა ჰანნას ეტლსაო. სხვათა შორის ეს ამბავიც გვიჩვენებს, თუ რა ძლიერა სძულთ ამერიკაში კაპიტალისტები და მათი მოსარჩლეები.

✡ შეერთებულ შტატების მინისტრებს ახალი პრეზიდენტის თავმჯდომარეობით, 20 სექტემბერს, ვაშინგტონში, კუნძულ კუბის საქმე გაურჩევიათ. კუბის გუბერნატორს გენერალ ვუდს—ამ ჟამად ვაშინგტონშია—უთქვამს: შეერთებული შტატების მთავრობა 1902 წლის მაისში, ან თიბათვეში დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადებს კუბასაო.

სამხრეთ-აფრიკა. როცა მაკ-კინლეი დასჭრეს, პრეზიდენტმა კრიუგერმა დეპეშა გაუგზავნა ამერიკის პრეზიდენტს და თანაგრძნობა გამოუცხადა. მაკ-კინლეის გარდაცვალების შემდეგაც კრიუგერმა დეპეშით სამძიმარი გამოუცხადა ახალ პრეზიდენტს და მაკ-კინლეის ქვრივს.

ამერიკელებს გარდა, განსვენებულ პრეზიდენტს ბურებიც ძლიერ ემდურებოდნენ... როცა შარშან მარტში სამხედრო ბედმა უმტყუნა ბურებს და ინგლისელებმა ტრანსვაალისა და ორანჟის რესპუბლიკის სატახტო ქალაქები აიღეს, მაშინ ბურებმა თქვეს: მტკიცე იმედი გვაქვს, რომ ამერიკის დიდებული რესპუბლიკა დაგვეხმარება და ნებას არ მისცემს ინგლისს, ჩვენი რესპუბლიკები მოსპოსო. მაგრამ ეს იმედი არ გაუმართლდათ. თუმცა კი, სიმართლე უნდა ვთქვათ,—ყველა სახელმწიფოებში მარტო-ამერიკამ, მარტო პრეზიდენტმა მაკ-კინლეიმ აიღო ხმა.—განსვენებულმა პრეზიდენტმა მისწერა ინგლისის მთავრობას: რას იტყვით, ხომ არ გეწყინებათ, შუამდგომლობა რომ გავწიოთ და ბურებთან მოგარიგოთო. ინგლისის მთავრობამ მტკიცე უარი შეუთვალა მაკ-კინლეის და ესეც გაჩუმდა, თავი აღარ შეუწუხებია ბურებისათვის. კრიუგერმა კიდევ რამდენჯერმე სთხოვა მაკ-კინლეის, შუამდგომლობა გასწიე, მოგვარიგე ინგლისთანაო, მაგრამ მაკ-კინლეი ნიადაგ უარს უთვლიდა. ბოლოს გაჯავრებულს კრიუგერს ეთქვა: ბურები იმ დრომდე განაგრძობენ ბრძოლას, ვიდრე მაკ-კინლეის ადგილას სხვას არ აარჩევენ პრეზიდენტადაო.

კრიუგერის სიტყვა მალე ასრულდა. მაკ-კინლეის ბადლად სხვა კაცია ეხლა პრეზიდენტად, თანაც ახალი პრეზიდენტი ტომით ჰოლანდიელია. ამბობენ, ვითომ რუზველტი ძლიერ თანაუგრძნობს ბურებსაო. ინგლისური გაზეთები ამტკიცებენ: კრიუგერი ამ მოკლე ხანში რუზველტს მისწერს და დახმარებას სთხოვსო.

ვნახოთ, რუზველტი რასაც იზამს.

ახალი ამბავი

◆ 17 სექტემბერს სხდომა ჰქონდა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომელმაც, მოისმინა-რა ქალაქის მოურავის ბ. ევანგულოვის გარდაცვალების ამბავი, დაადგინა—გარდახდილ იქმნეს ქალაქის საბჭოს დარბაზში პანაშვიდი, გამოეცხადოს ქალაქის თვით-მმართველობის სახელით განსვენებულის სახლობას სამძიმარი, დაესწრნენ გასვენებას ყველა მისი თანამოსამსახურენი და საბჭოს ყველა ხმოსნები; გასვენების დღეს შეწყვეტილ იქმნეს ქალაქის გამგეობაში მუშაობა; შეამკონ განსვენებულის ცხედარი გვირგვინით ქალაქის თვით-მმართველობის სახელით; ითხოვონ ნება მის გასვენებას დაესწრნენ თავიანთ ნიშნებით ყველა ამქრები და თეატრის ქუჩას, რომელზედაც ცხოვრებდა განსვენებული ევანგულოვი, მის პატივსაცემლად დაერქვას მისი სახელი. ეს დადგენილებანი გუშინ საღამოს განიხილა ტფილისის ქალაქის საბჭომ და დაამტკიცა შეუცვლელად. გარდა ამისა ხმ. თაიროვის წინადადებით საბჭომ გარდასწყვიტა ქალაქის ხარჯით დაასაფლავონ განსვენებული ქალაქის მოურავი გ. ევანგულოვი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ მისწერა გუშინ ტფილისის გუბერნატორს, რომ რადგანაც სათანადო მთავრობას ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილე ჯერ არ დაუმტკიცებია, ხოლო ქალაქის მოურავი გ. გ. ევანგულოვი 16 სექტემბერს საღამოთი გარდაიცვალა, ამიტომ, თანახმად საქალაქო დებულების მე-94 და 125 მუხ., ქალაქის მოურავის თანამდებობის აღსრულებას 17 სექტემბრიდან შეუდგა ქალაქის გამგეობის უფროსი წევრი გ. გ. ხოსროევი.

◆ გუშინ საღამოს ტფილისის საბჭოს დარბაზში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ახლად **გარდაცვალებულის ქალაქის მოურავის** გ. ევანგულოვის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ გამგეობის წევრნი, საბჭოს ხმოსნები, და ქალაქის სამმართველოს და მის ქვემდებარე დაწესებულებათა მოხელენი და გარეშე ხალხიც.

◆ გუშინ იდღესასწაულეს **ტფილისის კომერციულ** სასწავლებლის დაარსების ერთის წლის შესრულება. დღესასწაულს დაესწრნენ—ხსენებულ სასწავლებლის მასწავლებელნი, სამზრუნველო რჩევის წევრები და სახაზინო პალატის მმართველი მიხაილოვი. პარაკლისის გადახდის შემდეგ სასწავლებლის დირექტორმა დაურიგა საუკეთესო მოსწავლეთ ქების ფურცლები. ეხლა კომერციულ სასწავლებელში 650 მოსწავლეა.

◆ ფინანსთა მინისტრმა ნება დართო, რომ სამზრუნველო საბჭოს აურჩევლად დაუყოვნებლივ გახსნან ტფილისში **სავაჭრო სკოლა**. ამ სკოლის გამგეობა მიენდო ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორს ფიშერს.

◆ კვირას, 16 აგვისტოს, კადეტის კორპუსში იდღესასწაულეს **დეკანოზის ალ. იაკ. მანსვეტოვის** 50 წლის მღვდელობის იუბილეი. პარაკლისის გადახდის შემდეგ კორპუსის დირექტორმა გადასცა იუბილიარს მოოქრული ვერცხლის ხატი ზედწარწერით—„სულიერ მამას ღრმად პატივცემულ დეკანოზს ალექსანდრე იაკობისძეს მანსვეტოვს თანამოსამსახურეთაგან". შემდეგ მთავარ-შტაბის პოდპოლკოვნიკმა ზაგიუმ მიართვა მხცოვან მოძღვარს შავის ხის კვერთხი ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასის ქვებით შემკული, შემდეგის ზედ-წარწერით: „ძვირფასს მოძღვარს ალექსანდრე იაკობისძე მანსვეტოვს კეთილ-მოსაგონებლად ტფილისის კადეტის კორპუსის ყოფილ მოსწავლეთაგან". ნაშუადღევს გაიმართა სადილი იუბილიარის სადგომში. სადილზე რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვეს და წაიკითხეს მოსალოცი დეპეშები. დეპეშა იყო სხვათა შორის იმერეთის ეპისკოპოზის ლეონიდისაგან.

◆ საეკლესიო-სამრევლო სკოლების ახალის დებულებით განზრახვა აქვთ შემოიღონ ამ სკოლებში **ბუნებისმეტყველების** სწავლება.

◆ „კანონთა კრებულში" დაბეჭდილია, რომ ფინანსთა მინისტრს ნება ეძლევა დანიშნოს **სამინისტროს რწმუნებულები სადგილ-მამულო ბანკებში.** რწმუნებულებს ევალება თვალ-ყური ადევნონ ბანკების მოქმედებას და შეაჩერონ ყოველი განკარგულება, რომელიც წესდებას ეწინააღმდეგება.

◆ **ქალაქ ქუთაისის სამეურნეო სკოლაში** მოახდინა რევიზია სამიწად-მოქმედო-დეპარტამენტის მოხელემ ბ. მასალსკიმ. როგორც გადმოგვცეს, სამინისტროს განუძრახავს ხსენებულ სკოლის პროგრამის შეცვლა. ბ. მასალსკიმ უარი განაცხადა სკოლის მმართველის ბ. ლიუბინეცკას მიერ წარდგენილი გეგმის შესახებ, რომელშიაც ლიუბინეცკი ამტკიცებდა საქონლის გაშენებისა და ყველის დამზადების საქმეს უმთავრესი ადგილი დაეთმოს სკოლაშიო. განზრახვა აქვთ, სკოლას მიუმატონ კიდევ ალაგი რამოდენიმე დესიატინა. ამ ჟამად სკოლას აქვს სახნავ-სათესი მიწა 39 დესიატინამდე, რომლიდანაც მარტო ოთხი დესიატინაა დამუშავებული სიმინდის, ბამბისა და სხვა მცენარეებისათვის.

◆ როგორც ბათუმიდან გვატყობინებენ, იქ 14 ამ თვეს მისულან ტფილისის **მებაღეთა კრების წევრები** ქალაქის ბაღის დასათვალიერებლად. ს. ჩაქვში ექსკურსანტებს დაუთვალიერებიათ საუფლისწულოს, სტოიანოვის, ვუჩინოს და ბ. ვერუს მამულები, სადაც მათი ყურადღება მიუქცევია განსაკუთრებით ჩაის ხის, ბამბუკისა და სხვა ცხელ ქვეყნის მცენარეობის კულტურას. წელს მარტო ჩაქვის საუფლისწულო მამულში მოუწევიათ 600 ფუთამდე ჩაი—30 დესიატინა ჩაის პლანტაციებიდან. ჩაქვში დამზადებულ ჩაის კაცი ვერ გამოიცნობ ჩინეთის ჩაიდან. გირვანქა ადგილობრივ ჩაის რუსეთის ცნობილნი ჩაის ვაჭრები ჰყიდულობენ 1 მ. 50 კაპ.-იდან ორ მანეთამდე და თვითონ კი, რასაკვირველია, სამ—ოთხ მანეთად გაჰყიდიან: ჩაის ხის

ვეს: „შემწეობა მოგვეცით, უგზოობამ შეგვაწუხაო. უწინ ჩვენ «სხვათა» გზებს გვაკეთებინებდა მთავრობა, გვამუშავებდა საბადურში, ახმეტის და ანანურის გზებზედ მაშინ, როცა ჩვენს უმეტეს უგზოობით არც ვის მაშინ უჭირდა და არცვის ეხლა უჭირსო". შემდეგ ამისა, დაასახელეს რა თავისი სიღარიბე, ჰთხოვეს მისს აღმატებულებას: „გვიშუამდგომლეთ უმაღლესს მთავრობასთან, დაგვეხმაროს, მოგვცეს ინჟენერ-ტეხნიკოსი და სამუშაო იარაღი და მასალა სახელმწიფო ხარჯით. მუშაობით კიდე ჩვენ ვიმუშავებთ, მთავრობას ფასს არა ვსთხოვთო". ბ. გუბერნატორმაც იმედი მისცა, ვეცდები სურვილი აგისრულოთო. გზის შესახებ დღეს საქმე ამაზეა დამრჩალი, არა ვარჩი-ვურჩია და არც ვუწყით ვეღირსებით როდისმე ამ გზის დაწყებას, თუმცა ხალხი სამუშაოდ დღესაც მზად არის.

* *

თუ ჯერ საურმე გზის გაკეთებას არა გვეშველა რა, რაღა საიმედოა, არ ვიცი, რომ ჩვენს ხეობაზედ რკინის გზას გაივლის? თუმცა, ამბობენ, უმოკლესი და უადვილესი ფშავ-ხევსურეთისთვის იქნება ეს გზა, მაგრამ სარგებლობას ბევრს ვერ მოიტანსო. მაგრამ მართალი კია ესა? სარგებლობას როგორ ვერ მოიტანს, რა ვიცი, როცა ს. არხოტში ოქროს მადანია აღმოჩენილი; ლიქოკის ხეობაზედ საუკეთესო ღირსების მარმარილოსი; მარმარილოს მადანი არსებობს აგრეთვე ოხერხევზედ. არაგვის ტალღებს რომ დააცქერდეს კაცი წყალდიდობას, შეჰნიშნავს შიგ მოლაპლაპე წვრილ ოქროს ნაწილაკებს, რაიცა უჩვენებს, რომ ამ ხეობაზედაც იპოვება ჯერ ვერ მიგნებული ოქროს მადანი, რომელიც დღეს თუ ხვალ მოიხელება. ჩარგლის კარი, გუდარახი, კაწალხევი, კალდოვანა სავსეა რკინის მჟავე წყლებით, „მუჯებით". ისინი ღირსებით კიდევაც სჯობიან ბორჯომ-აბასთუმნის და პიატიგორსკ-ჟელეზნოვოდსკის ამგვარსავე წყლებს. დიახ, სჯობიან, თუ დავუჯერებთ არა მცირე ერუდიციის მქონებელს ბ. მ. მაკსიმიჩ კოვალევსკის, რომელმაც თავისს კავკასიაში მოგზაურობის დროს ეს წყლები ღირსებით მაღლა დააყენა ყველა კავკასიის და ევროპის ამ ჯურის წყლებზედ. ამგვარი წყლებია აგრეთვე ხევსურეთში ს. ღულს, ხორნაულთას, ხახმატს, გუდანს, ლიქოკს და სხვაგან. იმავე ჩარგლის და კაწალხევის მიდამოებში (კილდოვანაშია) მოიპოვება გოგირდიანი და მარილიანი წყლები. გოგირდიანი წყალი საკვირველად მოქმედებს კუჭით ავადმყოფებზე; მაში ბანაობა არჩენს ქეციან-მუნიანებს. მერე ყველა ეს წყლებია არაგვის პირას, სადაც ადვილად მშვენიერი საარაკო ადგილი შეიძლება გაიმართოს. მიმოსვლაც ტფილისიდან ამ წყლებზე უფრო ადვილი და უფრო იაფი იქნება სიახლოვის გამო, რადგანაც ტფილისს და ჩორგალს შუა სრული ასი ვერსიც ძლივს გამოვა. გარდა ყოველი ამისა, ეს გზა იქნება ერთი უმთავრესი გადამზიდველ-გადმომზიდველი საალებ-მიცემო საქონლისა რუსეთს და კავკასიის შუა. სხვა გვარი მიმოსვლაც რომ სახეში არ ვიქონიოთ, განა ზემორე თქმულის მიხედულ ამ გზას სამუშაო და შემოსავალი კი აკლდება, უკეთუ მისი პროექტი განხორციელდა!

* *

როცა ამ წერილს სათაურად „მთის რამე-რუმე" დავარქვი, ქისტებზედაც უნდა რამე მოვახსენო მკითხველს, რადგან ისინიც მთიულებია. როგორც მკითხველებმა უწყიან, მთავრობამ უწინ ზოგიერთი ჩერქეზი და ქისტი განდევნა თავიანთი სამშობლოდან იმ ავკაცობა, ავ-ხელობის გამო, რასაც ეს ხალხი შვრებოდა. რაც უნდა სარგებლობაც მოიტანოს, განდევნა ხალხისა მამა-პაპის ბინიდან, რაც უნდა იყოს, მაინც დიდი და დიდი უბედურებაა. რამდენად მართალია, არ ვიცი, მხოლოდ ხმა მოდის ჩეჩნები (ღილღველები—იგივე ქისტებია) იყრებიან და უცხოეთში მიდიან; რამდენიმე პირი წელს კიდევაც წავიდა ოსმალეთისკენო. მეც მთიული ვარ, თვითონაც ბევრის შემთხვევის მოწამე ვარ ამ ღილღველ-ქისტების ავ-კაცობისა, მაგრამ ის კი არასოდეს არც მომსვლია აზრად და არც მომივა, რომ ჩემი მეზობელი, ანუ უკეთ ვთქვა ჩემი ბრიყვი, გაუნათლებელი, „ურჯულო" ძმა უცხოეთში გადიკარგოს და ბურთი და მოედანი მის ავლა-დიდებაზე მე დამრჩეს. ჰუმმანიურ, ლმობიერ მოქცევას არა მგონია ცუდი შედეგი მოჰყვეს. საჭიროა მხოლოდ ამ მთიულ მაჰმადიან ერებს სასწავლებლები დაეხსნას, დაენიშნოს თავიანთივე განათლებული შვილები მასწავლებლად და, უკეთუ ისინი არ ეპოებიან, მაშინ განვითარებული და მათ ენის ზედმიწევნით მცოდნე პირები, რომლებიც აზრდით და სწავლებით უნდა შეუდგნენ ხალხის გარდაქმნის საქმეს. ვნახოთ მაშინ, თუ ოცი, ორმოცი წლის მუყაითი შრომის შემდეგ სკოლებს ნაყოფი არ გამოეღოსთ და, დღეს შელახული და გამწვავებული, საჭირო ზავი არ ჩამოვარდნილიყოს მთიულებს შუა. ეს სკოლები ჩვენს, ქრისტიან ერებსაც უნდა გაუბევრდეს კიდევ; თორემ გაუნათლებელი ყველა ბევრს, აშავებს ქრისტიანი და მაჰმადიანიც და ერთნაირად ჰშურობს ერთი მეორეს.

ბაჩანა.

მოვლა გაშენების საქმეს ამ ბოლოს დროს ბევრმა კერძო მემამულეებმა მოჰკიდეს ხელი, ა. ი. სტოიანოვმა, ბ. ი. ვუჩონომ ბ. პაპოვმა, ბ. სინიცინმა და სხვებმა 300 დესიატინაზე მეტ მიწაზე დარგეს ჩაის ხეები ჩაქვში და სხვა ახლო მახლო სოფლებში. გურია-სამეგრელოს სოფლებშიაც კია გამოსაცდელათ რამოდენიმე სკოლებთან დარგული და სასურველი იქნება, რომ ჩვენი მემამულენი მიაქცევდნენ ამ მეტად სასარგებლო მცენარეს ყურადღებას. 15 სექტემბერს კრების წევრებმა დაათვალიერენ ქ. ქუთაისში სამეურნეო სკოლა, ბ. გ. ზდანოვიჩის ხეხილის ბაღი, ძმათა თ. ნაკაშიძეების ბაღი და პრინც ოლდენბურგსკის შამპანიურა ღვინის ქარხანა.

◆ გორიდან გვწერენ, რომ 12 სექტემბერს გორის მაზრის თავად-აზნაურთ სადილი გაუმართეს გორის სამასწავლებლო ინსტიტუტის ყოფილ დირექტორს, ა. ი. სლოვინსკის. ბ. სლოვინსკი, როგორც იციან მკითხველებმა, დანიშნულ იქმნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის ინსპექტორად.

◆ რადგანაც ტფილისში **ყვავილი** გაჩენილა, ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის „ექიმებს მოუმატონ ფასი აცრას.

◆ კვირას, 16 სექტემბერს, კავკასიის საიუბილეო სამეურნეო სამრეწველო **გამოფენაზე** დასათვალიერებლად იყო სულ 12,000 კაცი.

◆ გუშინ კავკასიის **გამოფენა** დაათვალიერა ტფილისის თავად-აზნაურთა სკოლის 105 მოსწავლემ.

◆ კავკასიის გამოფენის საექსპერტო კომისიას 26 სექტემბერს ექმნება სხდომა მანქანათა განყოფილებაში მოქცეულ ექსპონატების საექსპერტიზოდ.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ბ. ზავადსკიმ მიანდო სამ სპეციალისტ პედაგოგს **გამოფენის სამოსწავლო განყოფილების** ექსპონატების ექსპერტიზა. ექსპერტიზა უკვე დამთავრებულია და მოხსენება წარუდგინა ბ. ზავადსკის.

◆ ს. ხორგადან (ზუგდიდის მაზრა) გვწერენ: „5 ამ თვეს, ღამის 9 საათზე **მოჰკლეს** თავ. მ. კ. მხეიძე, სასიკვდილოდ დაიჭრა ტყვიით აზ. გიგიბერია და როგორც ამბობენ, სხვებიც უნდა იყვნენ დაჭრილნი. ს. ხორგის ერთ უკეთეს მემამულეს და ფულიან აზნაურიშვილს გ. ბ. გურალიას ჰყავს გასათხოვარი ერთად-ერთი ქალიშვილი. ამ ქალის შერთვა მოინდომა დ. ზუგდიდში მოსახლე ახალგაზდა პ. მ. კეიდიამ, მაგრამ ქალის მამა წინააღმდეგი გახდომია. რადგან პ. კეიდია ამ გზით ვერას გახდა, შეუყრია ახალგაზდა ამხანაგები და დასცემია გურალიას სახლს ქალის მოსატაცებლად. სწორედ ამ თავდასხმის დროს ქალის მამამ მოჰკლა თ. მხეიძე და სასიკვდილოთ დასჭრა გურალიას სტუმარი გიგიბერია“.

◆ ახლო მომავალში შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიწყებს მუშაობას საგანგებო კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს გამოსძებნოს საშუალებანი ამ ჟამად **გახშირებულ ცეცხლთან** საბრძოლველად.

◆ როგორც ვიცით, მთა წმინდის **ფუნიკულერის** პროექტი და შუამდგომლობა ხსენებულ მთაზე საჭირო სახაზინო ადგილის მოზომვისა გადაეცა ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველს ბ. ბეკს. რადგანაც ეს უკანასკნელი მინისტრის ნება-დაურთველად თანახმა არ არის სახაზინო ადგილი მიუზომოს უსახელო საზოგადოებას ფუნიკულერისათვის, ინჟინერ ბლანშმა დეპეშით სთხოვა მიწად-მოქმედების მინისტრს დააჩქაროს თავისი ნება-რთვა, რადგან კონტრაგენტები დიდად ზარალობენ საქმის დაგვიანებით და ვერც ვადაზე დაამთავრებენ ფუნიკულერის მოწყობას.

◆ პეტერბურგიდან მოსულ კერძო დეპეშიდან სჩანს, რომ საკასაციო საჩივარი ნაფიც **ვექილის კარაბეგოვისა**, რომელიც ბაქოელ ვაჭარ თუმაევს უჩიოდა 12000 მ. პირობის დარღვევისათვის, უყურადღებოდ იქმნა დატოვებული.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი **გედენეევი** დაამტკიცეს მიხეილის რკინის გზის სასწავლებლების მზრუნველად.

◆ იმერეთიდან იწერებიან, რომ **დიდმა წვიმებმა** ძლიერ შეუშალეს სოფლელებს ხელი ჰამინდის მოსავლის ტეხის აკრეფის დროს.

◆ პოლიციის მე-9 ნაწილში ბათუმიდან ახლად ჩამოსულ რუსეთის სავაჭრო სანავოსნო საზოგადოების იჯარადარ არზუმან ავაკოვისათვის მოუპარავთ ყუთი 500 მანეთის აბრეშუმეულობით; პოლიციას უკვე შეუპყრია ერთი ქურდი ერევნის გუბერნიის მცხოვრები თათეოს სიმონის ძე კაზარიანცი. ქურდს უკვე აღმოაჩნდა რამდენიმე ნაჭერი მოპარულ აბრეშუმისა.

◆ ლაბორატორის ქუჩაზე, პოლიციის მე-4 ნაწილში ნაფიცი ვექილის ბ. კრასოვსკის ბინაზე უეცრად გასქდა ბენზინის ჭურჭელი, გაჩნდა ცეცხლი და მოედვა სახლს. მალე მიეშველენ და ცეცხლი შინაურ საშუალებით ჩააქრეს. კრასოვსკის მოსამსახურე ქალი აკულინა გერასიმოვისა, ისე დაშავდა ცეცხლისაგან, რომ საჭირო შეიქმნა ძისი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნა შემწეობის აღმოსაჩენად.

◆ პოლიციის პირველ ნაწილში, სარაჯიშვილის სახლის შესავალთან ნახეს მიგდებული ერთის კვირის დაბადებული ბავშვი მდედრობითი სქესისა, რომელიც საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

გ. გ. ევანგულოვი.

კვირას, 16 სექტემბერს, ტფილისში უეცრად გარდაიცვალა ტფილისის ქალაქის მოურავი გიორგი გრიგორის ძე ევანგულოვი. განსვენებული თუმცა უკანასკნელს ხანებში გულის სიგანიერით ავადმყოფობდა, მაგრამ იმდენად ჯანმრთელი კაცი იყო, რომ ავადმყოფობას არად იმჩნევდა და ასრულებდა თავისს მძიმე სამსახურის საქმეებს. გუშინ წინ, საღამოს წასულა ირაკლის აბანოში და როგორც-კი შესულა აბანოს წინა ოთახში, თავი ცუდად უგრძვნია, უცბად დარეტიანებულა, იქვე წაქცეულა და გარდაცვლილა.

განსვენებული დაიბადა ტფილისში 1843 წელს, 15 ოქტომბერს. 1863 წელს გაათავა ტფილისის პირველი კლასიკური გიმნაზია და შემდეგ გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც შევიდა უნივერსიტეტში. 1867 წ. მან დაასრულა იურიდიული ფაკულტეტი. სასამართლოს საქმეების პრაქტიკულად შესწავლისათვის განსვენებული ერთის წლით დარჩა უნივერსიტეტში და შემდეგ განწესებულ იქმნა ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ სამსახურიდან ის გადაყვანილ იქმნა კავკასიის ნამესტნიკის უმთავრეს სამმართველოს დეპარტამენტში. 5 წლის შემდეგ გ. გ. ევანგულოვმა სამსახურს თავი დაანება და ჩაირიცხა ნაფიც ვექილად ტფილისის ოლქის სასამართლოში.

არც სამსახურის დროს, არც ვექილობის დროს ევანგულოვი არ ივიწყებდა საზოგადო საქმეებს და მონაწილეობას იღებდა სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულებაში; სხვათა შორის, ხმოსნად იყო ტფილისის საბჭოში. ხოლო რამდენიმე წლის წინად, როდესაც ქალაქის თავად ნამყოფმა თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკიმ თავი დაანება სამსახურს, გ. გ. ევანგულოვი არჩეულ იქმნა ქალაქის თავად.

პრესსა

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ 100 წლის შესრულების გამო რუსულ გაზეთებში ბევრი წერილი იბეჭდება. იყო წერილები „ნოვ. ვრემია“-ში ვ. ველიჩკოსი, „პეტერბ. ვედომოსტ“-ში ხელ-მოუწერელი, „ნოვოსტ“-ში პ. ბრუნელის, „როსსია» და «რუსსკ. ვედომოსტ“-ში ა. ხახანაშვილის და სხვა. ყველა ავტორები უმთავრეს ყურადღებას აქცევენ ისტორიულს მხარეს და ცოტად თუ ბევრად დაწერილებით გადმოგვცემენ საქართველოს სამეფოს უკანასკნელ დღეებისა და რუსეთთან შეერთების ისტორიას. ყველა გაზეთები დიდმნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტად აღიარებენ საქართველოს შეერთებას რუსეთთან. ამ ისტორიულის ფაქტის მეოხებით, სწერენ გაზეთები, რუსეთმა შეიძლო აღმოსავლეთში მტკიცედ დამკვიდრებაო... გაზეთი „ნოვოსტი“ ამბობს:

> „თუ საქართველოსათვის რუსეთთან შეერთება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო, მეორეს მხრით, რუსეთისათვის ეს საკითხი დიდი იყო: საკითხი ისტორიულის საჭიროებისა. საქართველოს შეერთებით და მასში დამკვიდრებით რუსეთმა მშვენიერად გადასწყვიტა ერთი ნაწილი აღმოსავლეთის საკითხისა... კავკასიის მთები ხელ-ფეხს უბორკავდნენ რუსეთს. საჭირო იყო ამ საზღვრის მოსპობა. საქართველოს შეერთებამ გაუადვილა რუსეთს ეს საქმე. კავკასიის მხარის ხელში ჩაგდებამ გზა გაუკაფა რუსეთს აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ. აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტაში ერთი დიდი ნაბიჯი იქმნა წადგმული წინ და რუსეთს, საქართველოს შეერთების მეოხებით, აღარ გაუჭირდება ამ საკითხის დანარჩენ ნაწილის გადაწყვეტის საქმეც.“

თეატრი

ქართული თეატრი. კვირა, 16 სექტემბერი. ტფილისელ ქართველობას, ალბად, რცხვენია ან ეშინია—ქართული თეატრის თანაგრძნობა და სიყვარული არავინ დაგვწამოსო და ამიტომ სისტემატიურად გაურბის ქართულ წარმოდგენებს. შეგვიძლია დავარწმუნოთ შიშსა და კრძალვას ჩვეული ქართველობა, რომ ქართულ წარმოდგენებზე სიარული და ქართულ თეატრის თანაგრძნობა მაინც და მაინც დიდი სირცხვილი არ არის—პირიქით, საზოგადოების ერთ ნაწილში ისეთი აზრიც კი ტრიალებს, რომ ყოველი ქართველის მოვალეობაა ამ ეროვნულ საქმეს შეძლების დაგვარი დახმარება აღმოუჩინოს.

კვირას წარმოადგინეს ცნობილი გერმანელ დრამატურგის ზუდერმანის კომედია (უფრო კი დრამა) „პატიოსნება“. პიესა მეტად აზრიანი და შინაარსიანია, თუმცა შიგ მოქმედება ნაკლებადაა და ცოტა გაჭიანურებულიც არის. მოგვყავს მოკლედ პიესის შინაარსი. მდიდარ მექარხნეს მიულინგს (აბაშიძე) ჰყავს ორი შვილი—ქალი ლეონორა (კარგარელი) და ვაჟი—კურტი (ლანდი). მიულინგისავე მამულში ერთ ქოხში სცხოვრობს ცოლ-ქმარი ხეინიკე (გაბუნია და გედევანოვი), რომელთაც ჰყავთ სამი შვილი—რობერტი (სვიმონიძე), რომელიც დიდი ხანია ინდოეთშია წასული მიულინგის საქმეების გამო, ალმა გასათხოვარი ქალი და ავგუსტა (გარელი) გათხოვილი ხელოსან მიხალსკიზე (იმედაშვილი). მიულინგის ვაჟი, მდიდარი და განცხრომას მიჩვეული, გაუარშიყდება ალმას და საყვარლად გაიხდის. ეს ყველამ იცის—როგორც ვაჟის, ისე ქალის ახლობლებმაც, მაგრამ არაფრად აგდებენ: პირველნი იმიტომ, რომ მდიდრები არიან, თავი დიდათ მოაქვთ და ღარიბ-ღატაკის გაუპატიურება არაფრად მიაჩნიათ; მეორენი იმიტომ, რომ გაჭირვებულნი არიან, სიღატაკისაგან დაბეჩავებულნი და მდიდრის არშიყისაგან ფულებს მოელიან. ყველაფერი მშვიდათ და წყნარად ჩაივლიდა, რომ ამ ორ ჯგუფში არ რეულიყო ორი პირი, რომელთაც სულ სხვა გვარი წარმოდგენა აქვთ ადამიანის პიროვნებაზე და მის პატიოსნებაზე. ეს ორი პირია ხეინიკეს ვაჟი რობერტი და მიულინგის ქალი ლეონორა. რობერტი პატიოსანი, მშრომელი ახალგაზდაა, იგი მზად არის ყოველ გვარ მსხვერპლისათვის, რომ ღარიბ დედ-მამას და საყვარელ დებს, განსაკუთრებით უნცროსს—ალმას, კარგი და პატიოსანი ცხოვრება მოუწყოს. მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა იმაზე, თუ რამდენად დაცემული იყვნენ როგორც მისი დედ-მამა, ისე დებიც და როცა გაიგებს, ჰკუიდან კინაღამ იშლება და სურს მაგიერი მიუზღოს თავის დის შემრცხვენელს. ლეონორა—ცოცხალი, პირდაპირი, მთლიან ბუნების პატრონი არსებაა—მას არ ძალუძს პირმოთნე და მხოლოდ ოქროს თაყვანის-მცემელ წრეს დაემორჩილოს და როცა დარწმუნდება, რომ მისი ძმა და დედ-მამა სწორედ ასეთის წრის ხალხია, თამამად სტოვებს მათ და მიჰყვება დევნილს, მაგრამ პატიოსან რობერტს.

დრამაში არის კიდევ ერთი პირი, კლასიკურ ტრაგედიების „მეგობრის“ (НАПЕРСНИКЪ) დაგვარი—გრაფი ფონ-ტრასტი, გულითადი მეგობარი და მოსიყვარულე რობერტისა.

ფონ-ტრასტი ცხოვრებაში გამოცდილი და გამობრძმედებული კაცია; იგი კარგად იცნობს ხალხს, განსაკუთრებით იმ წრისას, რომელსაც იგი ერთ დროს ეკუთვნოდა და რომელსაც ეხლა ზევიდან დაბლა სიბრალულის თვალით დასცქერის.

კვირის წარმოდგენაც თითქმის სრულის ანსამბლით ჩაატარეს ჩვენმა არტისტებმა. ვ. აბაშიძე ნამდვილი მიულინგი იყო—ცოლის შერთვითა და ვაჭრობით გამდიდრებული სოვდაგარი, რომელიც ყველაფერს ფულით ზომავს და ფულისათვის მზად არის მტრობა და სიძულვილი მეგობრობაზე და სიყვარულზე შესცვალოს. მიმიკა მისი, როგორც ყოველთვის, შეუდარებელი იყო. ნაკლი აბაშიძის კვირის თამაშისა ის იყო, რომ ხანდახან ზოგიერთ ფრაზას ევროპიულ პიესის შეუფერებელ კილოთი წარმოსთქვამდა ხოლმე.

მიულინგენის ცოლის როლს ასრულებდა პირველად სცენაზე გამოსული ქ-ნი ჩიქოვანისა და გვარიანადაც შეასრულა ეს პატარა როლი. აღსანიშნავი ახალ აქტრისას კარგი დიქცია.

კარგარეთელის ქალის ადგილზე ჩვენ არასოდეს არ ვიკისრებდით წმინდა დრამატიულ როლს—ეს ამპლუა სრულიად არ შეჰფერის მას. სამაგიეროდ ისეთის როლების ასრულება, როგორც ლეონორას როლია, მას კარგად ეხერხება. კვირას კარგარეთელის ქალმა თავის მარტივისა და მოხდენილის თამაშით მეტად ასიამოვნა მაყურებელნი. მიულინგის ვაჟის კურტის როლს ასრულებდა ბ. ლანდი: ესეც დებიუტანტია, მაზე კარგს ჯერ ვერას ვიტყვით—მართალია, მას სითამამე არ აკლია, მაგრამ არ იცის სცენაზე თავი როგორ დაიჭიროს, მანერები არ უვარგა და დიქციაც ნაკლები აქვს. საბოლოოდ მაინც ჯერ ვერას ვიტყვით.

საუცხოვო იყო შათირიშვილი კურტის მეგობრის ლოტრ ბრანდტის როლში. ბრანდტი—გაიუნკრებული ახალგაზდა ბურჟუაა, რომელსაც გონების ჰორიზონტი ნამდვილ გერმანელ იუნკერსავით ვიწრო აქვს და გული ძ სიმამაცე ბურჟუასი. შათირიშვილმა მეტის ხელოვნებითა და სინამდვილით წარმოგვიდგინა თვალწინ ეს მეტად კომიკური ტიპი. არა უშავდა რა სარჯველაძესაც კურტის მეორე მეგობრის როლში.

ვ. გუნია ასრულებდა გრაფ ფონ-ტრასტის როლს და კარგადაც შეასრულა. ლაპარაკის კილო, ხან დინჯი და ხან დამცინავი, დინჯივე მიხვრა-მოხვრა სწორედ როლის შესაფერი ჰქონდა ბ. გუნიას.

ნ. გაბუნია და გედევანოვი კარგი ხეინიკები იყვნენ. ნ. გაბუნია ასე კარგად მოთამაშე ევროპიულ პიესაში არ გვინახავს. გედევანოვი ხშირად აჭარბებს ხოლმე. კვირას კი იგი ზომას არ გადასცილებია. ქ-ნი ლეჟავა პირველის ნიშნებით კარგი არტისტი ქალი უნდა დარჩეს. ალმა-ქეიფისა და განცხრომის მოყვარე ახალგაზდა ქალი, გონება და ზნეობა განუვითარებელი, ბავშვი, რომელიც ვერ მიმხვდარა, თუ რა მოუვიდა მას კურტის საყვარლად გახდომის შემდეგ, თითქმის სრულის სინამდვილით წარმოგვიდგინა ქ. ლეჟავამ. არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ ახალგაზდა არტისტს ერთი ნაკლი: როცა მას სცენაზე დიდ ხანს სალაპარაკო არ აქვს,

ავიწყდება, რომ იგი მაინც მოქმედების მონაწილეა. სვიმონიძე ბევრს ცდილა რიგიანად წარმოედგინა რობერტის ძნელი როლი და დრამის ზოგ ადგილას ამ ცდას ტყვილა არ ჩაუვლია (მაგ. 1-ლ მოქმედებაში). საზოგადოთ კი არტისტის ძალა ვერ შესწვდა როლის სიძნელეს. განსაკუთრებით ხელს უშლიდა მას ხმის როლთან სრული შეუფერებლობა. ერთი შენიშვნაც—დიალოგის დროს მაყურებლების ზურგის შექცევა ყოვლად უხერხულია.

დანარჩენებიც ხელს უწყობდნენ ანსამბლს, განსაკუთრებით იმედაშვილი.

რეცენზენტი.

P. S. თეატრის ადმინისტრაციის საყურადღებოთ. ფოიეში ორკესტრის გამოყვანა ყოვლად უხერხულია, ერთიც სივიწროვის გამო და მეორეც იმისთვის, რომ ჩვენი თეატრის ნამდვილი თანამგრძნობელი ქანდარა, რომელიც უკანასკნელ გროშს იძლევა ბილეთში, უმუსიკოდ რჩება.

ტფილისის სახაზინო თეატრი. „თავადი იგორი“. ოპერა ბოროდინისა. წარსულ კვირას დაიწყო საოპერო სეზონი. საოპერო დასში თითქმის სულ ნაცნობი მომღერალნი არიან გარდა ქ. ქ. ინსაროვისა და ასატუროვისა. «თავად იგორში“ იაროსლავნის პარტიას მღეროდა ქალბ. ინსაროვისა. არტისტკას მშვენიერი ხმა აქვს, თავისუფლად იღებს მაღალ ნოტებს, მაგრამ ხმა საკმაოთ შეუმუშავებელია და სიმღერა, განსაკუთრებით მაღალ ნოტებში თუ შეიძლება ასე ვთქვათ, უფრო კივილად გადაექცევა ხოლმე. სიტყვების გამოთქმა თავისუფლად და გასაგებად ეხერხება. დრამატიული მხარე საუცხოვო იქმნებოდა, რომ მესამე მოქმედების მეორე სურათში ძმის დატუქსვის სცენაში ცოტათი არ გადაეჭარბებინა მღელვარება და რისხვა. სამაგიეროთ მაქსაკოვი საუცხოვო იყო იგორის პარტიაში, მეოთხე მოქმედებაში, სადაც ის მღერის „მომეცით თავისუფლება და მე ავიხდი ამ სირცხვილს“. მაქსაკოვმა თავის მძლავრი ხმით და გრძნობით სავსე სიმღერით გამოიწვია ტაშის ცემა და თხოვნა გაემეორებინა ეს ადგილი. დანარჩენები თითქო სუსტად, უგულოდ ასრულებდნენ თავიანთ პარტიებს. თეატრში ხალხი ტოტა იყო. ესეც მოქმედობს მოთამაშეებზე და მომღერლებზე. საყურადღებოა ეს გარემოება. ტფილისი მთელს რუსეთში განთქმული იყო თავის სერიოზული თანაგრძნობით თეატრისადმი, ახლა კი საზოგადოება ნაკლებად დადის იმისთანა ადგილებში, სადაც ნამდვილ ესტეტიურ სიამოვნებას მიიღებს, ხოლო ჩვენი საზოგადოება მეტს თანაგრძნობას უძღვნის ბაღებში გამართულ „კანკანებს“ და ორ-აზროვან, გამრყვნელ რომანსებს. როდესაც ქართული თეატრი, ოპერა და კონცერტები თითქმის ცარიელია,—ბაღებში გამართული უმგვანო და უშინაარსო გასართობი ეგრედ წოდებული თეატრები სავსეა ხალხით.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

17 სექტემბერი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო „პეტერბურგსკაია გაზეთის“ ცალკე ნომრების გაყიდვა.

დიდი მთავარი დიმიტრი კონსტანტინეს ძე 16 სექტემბერს შეუდგა მგზავრობას რუსეთის ცხენების სახელმწიფო ქარხნების დასათვალიერებლად.

16 სექტემბერს კრუვეტის ბრძოლის დღეს ოსმალ-სერბიელების ომიანობის დროს ყაზანის ტაძარში პანაშვიდი გადაიხადეს სერბიის მეფის მილანისა და სერბიის ჯარის მთავარ-სარდლის გენერალ ჩერნიაევის სულის მოსახსენებლად.

არიოლი. 16 სექტემბერს გაიხსნა მისიონერთა კრება. არხიეპისკოპოსის სახლში შესდგა პირველი სხდომა.

ბერლინი. პრინცი ცუნი იმალით საღამოს ნეაპოლისაკენ წავიდა.

კიევი. პურის ფასი სამხრეთ რუსეთის ბაზრებზე თანდათან კლებულობს, რადგან ბევრი მოაქვთ და მყიდველი ნაკლებია. კიევში ჭვავი ღირს 58—60, ხორბალი—80—85, შვრია—70—75, ფეტვი—63—75, ფეტვი—63—65, უგრეხელი—75—80, ქერი—60—62 კ. ფუთი. მზიანი დღეებია. ტემპერატურა 20°.

კონსტანტინეპოლი. პორტამ სთხოვა რუსეთის მთავრობას შუამდგომლობა საფრანგეთის და ოსმალეთის კონფლიქტის გამო. ოსმალეთი იმედს აცხადებს, რომ ეს შუამდგომლობა უთუოდ მოსპობს სრულებით არსებულ უთანხმოებას.

პარიზი. „ფიგარო“-ში დასტამბულია წერილი სათაურით— „ნავარინიდან დიუნკირხენამდე“. წერილში ნათქვამია, რომ რუსები და ფრანგები კრონშტადტამდე შეხვდნენ ერთმანერთს და ერთად დაღვარეს სისხლი ნავარინის ბრძოლის დროს. წერილში მოხსენებულია გენერალ ბოგდანოვიჩის წიგნი „ნავარინის ბრძოლა“ და ამავე ავტორის ბროშიურები ხალხის გამოცემული იმპერატორის ოჯახის სიყვარულის და ფრანგ-რუსთა კავშირის პატივისცემის დასანერგად. ფრანგ-რუსთა კავშირის აუცილებლობას უჩვენებდა გენერალი ბაგდანოვიჩი ჯერ კიდევ 1887 წელს

კოპენჰაგენი. დედოფალ ლუიზას გარდაცვალების დღეს დანიის მეფე ქრისტიან IX, საბერძნეთის მეფე, ქვრივი დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, დანიის ტახტის მემკვიდრე მეუღლით და დანიის სამეფო ოჯახის სხვა წევრები საგანგებო მატარებლით წავიდნენ როსვილში, სადაც საკრებულო ტაძარში იყვნენ. შემდეგ უავგუსტოესი პირები დაბრუნდნენ ფრედენსბურგში საგანგებო მატარებლით.

პეტერბურგის ბირჟა 11 სექტემბრის

გექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,85	
ბერლინზე 100 მარკაში	45,95	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,5	
ბერლინზე „	46,30	
არიზზე „	37,40	
ბირჟის დისკონტი	5½—75.	
4% სახელმწიფო რენტა	96⅛	გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100⅛	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	475	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	353½	მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	256	გაყიდ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	87¾	„
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	89⅝	„
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—	
4½% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	
5%გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

რედაქტორი **ალ. ჭყონია.**
გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო —გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. 9) ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ- 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) ქუთაისიდან ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლის ელიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ბაჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთ თავის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ისტორიული თხზულება (რუსულად)
ზ. ავალიშვილისა
საქართველოს შეერთება რუსეთთან
ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამოცემის საწყობი „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაშია. ისყიდება იქვე და ლ ხილდეკელთან. წიგნი შეიძლება დაიბარონ ფასის ზედ-დადებით.

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ
საკერავს:
კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).
ბარონის ქუჩა, № 12 (10—1)

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში
ისყიდება თარგმანები
ივ. მაჩაბარიანისა:

გლეხი-კაცის ისტორია (ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა) 4 ნაწილად. . . ფასი 2 40
ბრძოლები, დრამა 3 მოქ. „ — 30
იუდითი, დრამა 5 მოქმედ. „ — 30
ტარტიუფი, ანუ მუზმუზელა, კომედია 5 მოქმედ. „ — 50

ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
გერის მოედანზე, ყაფანთან.
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.
ტელეფონი № 754. (0—0)

ახალი წიგნი
სამეგრელოს აღწერა
არქანჯელო ლამბერტისა
იტალიურით ნათარგმნი
ალექსანდრე ჭყონიასი
(სამეგრელოს რუკით)
ფასი 1 მანეთი

დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟანიშვილის მაღაზიებში.

მკურნალი-ქალი
მარიამ ბაქრაძე
იღებს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე დილით 1-დან 3 საათამდე. ოლგინის ქუჩა, № 13. (10—1)

საავთიაქო საქონლით მოვაჭრე
ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის
დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ-გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

განყოფილება
სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.
განყოფილებას განაგებს ილ. გ. ჩუბინაშვილი.
ადრესი ფოსტისა· Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову. (100—46)

ტელეფონი № 741.

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ. „Фармацевтика“

დაიბეჭდა და იყიდება **წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში:** შ. არაგვისპირელის **პირველი წიგნი**, ფასი ათი შაური. ისტორიული რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან ივ. ვაზოვისა **„დამონებულნი“**, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, გამოცემა სპ. ნარაკიძისა, ფასი ერთი მანეთი. პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნები შეუძლიათ ამ ადრესით დაიბარონ. Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество გადასაგზავნი ხარჯი არ გარდახდებათ მათ, ვინც ზემოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნების ღირებულ ფასს (მანეთ ნახევარს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Сентября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობის.